პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
პარასკევი
26
აგვისტო
№ 199
(16939)
წელი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს დიდი რთველი

გურჯაანელ მევენახეთა ჯანფასი

საგარეჯოელებმა იკისრეს

გურჯაანელ მევენახეთა თაოსნობას, რომ დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს სახელმწიფოს 100 ათასი ტონა ყურძენი მიეყიდონ, საქართველოს მევენახეები ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ.

რედაქციაში მოდის წერილები, რომელთა ავტორები გურჯაანელთა პატრიოტულ ინიციატივას ნამდვილად გმირულს უწოდებენ და ამის პასუხად თვითონაც კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

იმათ შორის, ვინც ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი გურჯაანელებს, მეზობელი საგარეჯოს რაიონის მშრომელებიც არიან.

საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივნის მედა მეზვრიშვილის წერილში, რომელიც დღევანდელ „კომუნისტში“ მესამე გვერდზე იბეჭდება, მთელი რაიონის მშრომელთა ერთსულოვნი გულისთქმა გამოხატული საგარეჯოელები წლეულს სახელმწიფოს 23.000 ტონა ყურძენს მიჰყიდიან. ეს სამი ათასი ტონით მეტია ვიდრე ადრინდელი ვალდებულება ითვალისწინებდა.

ალზრდის ეფექტიანობა

ვენი წყობილების ძალა მასების შეგნებაა, და რაც უფრო წინ მიიწევს საბჭოთა საზოგადოება კომუნისტური მშენებლობის გზით, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა იდეური აღზრდის საკითხებს, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პრობლემებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობისადმი, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ბოლოს აღნიშნავდა, რომ თანამედროვე პირობები სახავენ ახალ ამოცანებს მისი იდეოლოგიური საქმიანობის წინაშე, თქვა: „ამჟამიდან ორგანიზაციათა პრაქტიკა გვიჩვენებს გზას, რომლითაც შეგვიძლია მივაღწიოთ მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ეს არის კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი, ესე იგი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფა მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინებით“.

ყრილობის შემდეგ განვლილ დროში პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს ამ ნიმართულებით. ამას დამაჯერებლად ადასტურებს ორსკის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება. მისი ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი მოცემულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის გუშინ გამოქვეყნებულ დადგენილებაში „სკკპ ორსკის საქალაქო კომიტეტის მიერ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხთა კომპლექსური გადაწყვეტის განხორციელების შესახებ“.

რით არის დამახასიათებელი ორსკის საქალაქო კომიტეტისა და ბიროელადი პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკა? ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, თუ რა მზარდ ყურადღებას უთმობენ ქალაქის კომუნისტები იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის საკითხებს. გაუჯობესდა ამ საქმეში საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საშეურნეო ორგანოების, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების ღონისძიებათა კოორდინაცია. ნორმა გახდა პოლიტიკურ მუშაობაში ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების მონაწილეობა. პარტიული კომიტეტები დღენიადაგ ზრუნავენ, რათა კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა მშრომელს ჩაუნერგონ მეცნიერული მსოფლმხედველობა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მაღალი ზნეობრივი თვისებები. უმჯობესდება ახალგაზრდობის აღზრდა და პროფორიენტაცია, ვითარდება სოციალისტური შეჯიბრება. კომუნისტთა 85 პროცენტი დასაქმებულია მატერიალური წარმოების სფეროში, ისინი გვიჩვენებენ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების პირად მაგალითს. ყოველივე ეს კეთილნაყოფიერ ვავლენას ახდენს შრომითი კოლექტივების შემოქმედებითი აქტივობის ზრდაზე, ხუთწლედის დავალებათა შესრულებაზე, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაზე.

დადებითად შეაფასა რა ორსკის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტისათვის, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საქალაქო, რაიონული კომიტეტების, პირველადი ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო გარკვეულ ნაკლოვანებებსაც, მთელ რიგ შემთხვევებში ეს მუშაობა სუსტად უკავშირდება საწარმოო საქმეებს, ადამიანებისათვის კომუნისტური ზნეობის, მაღალი ხელიერი თვისებების ჩანერგვას. ყოველთვის როდი ითვალისწინებენ სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოციალურ, პროფესიულ და ასაკობრივ თავისებურებებს, შესუსტებულია ყურადღება მცირერიცხოვან კოლექტივებში. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მომსახურების სფეროში აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებისადმი.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ორსკის საქალაქო კომიტეტს, ქალაქის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს სკკპ XXV ყრილობის დებულებათა თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე უზრუნველყონ იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულ შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მასში ჩამოყალიბებულ ამოცანებს პრინციპული მნიშვნელობა აქვთ. ეს არის მუშაობის მკაფიო პროგრამა თითოეული პარტიული კომიტეტისათვის, თითოეული საქალაქო, რაიონული, პირველადი პარტორგანიზაციისათვის. წარმატების საწინდარია მოსახლეობის ყველა ჯგუფის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ორგანული ერთიანობა. საჭიროა ბეჭითად ვაწარმოებდეთ მშრომელებს კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ვუნერგავდეთ მათ ზუსტ კლასობრივ ჰორიზონტს, პოლიტიკურ სიფხიზლეს, ვაწარმოებდეთ შეტევითს ბრძოლას უცხო იდეოლოგიისა და მორალის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

საბჭოთა ადამიანის იდეურობა ცოდნის, მრწამსისა და პრაქტიკული მოქმედების შენაერთია. მიზანდასახულად უნდა ვუნერგავდეთ ადამიანებს კომუნისტურ დამოკიდებულებას შრომისადმი, ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობას, მაღალ კულტურასა და თვითდისციპლინას, ნოვატორობის სულისკვეთებას. აქაც მოქმედების ფართო ასპარეზი აქვთ პარტიულ კომიტეტებს, პირველადს ორგანიზაციებს. მათების შემოქმედებითი ინიციატივის დონე ბევრად განსაზღვრავს იმით, თუ როგორ წარმოიებს კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრება, როგორი ყურადღება ეთმობა კადრების მომზადებას, რიტმული, მაღალნაყოფიერი შრომისათვის პირობების შექმნას.

უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ზნეობრივი აღზრდის გაძლიერებას, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების, იდეოლოგიური დაწესებულებების საქმიანობა, ნეურნეობის გაძღოლის პრაქტიკა ხელს უნდა უწყობდეს ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის. სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების ერთიანობის ღრმა გაგების დამკვიდრებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეუთმოთ ახალგაზრდობას, ოჯახის, სკოლის, შრომითი კოლექტივის, დამრიგებლობის აღმზრდელობითი როლის ამაღლებას. უაღრესად დიდმნიშვნელოვანი რეზერვია მშრომელთა თავისუფალი დროის ორგანიზაცია. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ლოთობის, ხულიგნობის, გულგრილობისა და პასიურობის წინააღმდეგ. კომუნისტური ზნეობის ნორმებიდან ყოველგვარი გადახვევის წინააღმდეგ.

როგორ მივაღწიოთ მაქსიმალურ შედეგებს ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან და პასუხსაგებ საქმეში? უწინარეს ყოვლისა საჭიროა უზრუნველვყოთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის, დახასულის რეალიზაციისადმი კონტროლის სისტემის პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფა. ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ითვალისწინებს კადრებისათვის, აქტივისათვის კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის მეთოდების სისტემატური ხვნელების ორგანიზაციას. და, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მეჩოდრო კავშირი მასებთან. კომუნისტთა ყოველდღიური მოვალეობაა ოპერატიულად ეხმაურებოდნენ მშრომელთა შენიშვნებსა და წინადადებებს, გულისხმიერად ეკიდებოდნენ მათს საჭიროებებს, გადაჭრით აღმოფხვრიდნენ ხაქმის გაჭიანურებას, კონსერვატიზმს, კრიტიკის ნახშობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მოთხოვნებს ახლა, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის დღეებში.

საბჭოთა ადამიანები დამკვრელური შრომით ეგებებიან დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს. ყოველდღიური და მიზანდასახული პარტიულ-პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობა საიუბილეო წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულების, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ПРАВДА 26 აგვისტოს მოწინავე

საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

საქართველოს მრეწველობის მუშაკთა წარმატება

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წელს სახალხო-სამეურნეო გეგმის რეალიზაციისათვის, და ვადამდე, 25 აგვისტოს შეასრულეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის 1977 წლის იანვარ-აგვისტოს გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: ქ. თბილისის „საქნავთობის“, „საქსამთოქიმმრეწვის“, „საქარამადნეულის“, „ელექტროაპარატის“, „ელექტროხელსაწყოს“, წინდის, „თბილისღვინოს“ საწარმოო გაერთიანებების, კონიაკის კომბინატის, საინსტრუმენტო ქარხნის, „ნარიყალას“ ფეხსაცმლის, № 2 და № 3 ტრიკოტაჟის, 1 მაისის სახელობის სამკერვალო „ნადიკვრის“, ჩაის საწონი ფაბრიკების კოლექტივებმა; ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, „გელათისა“ და კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების, ავეჯის ფაბრიკის კოლექტივებმა; ქ. რუსთავის მეტალურგიული, ქიმიური ბოჭკოს ქარხნების; ქ. ბათუმის — კიროვის სახელობის ტყავის და სამკერვალო საწარმოო გაერთიანებების; ქ. ცხინვალის „ემალსადენის“ ქარხნის, ქ. ჭიათურის „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის; ქ. ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის კოლექტივებმა.

(საქინფორმი).

რვა თვის გეგმა—ვადამდე!

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის, ვადამდე, 25 აგვისტოს შეასრულეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების მოცულობის 1977 წლის იანვარ-აგვისტოს გეგმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საწარმოო გაერთიანებების „ელექტროაპარატის“, „ელექტროხელსაწყოების“, „თბილისღვინოს“, წინდის; კონიაკის კომბინატის; საინსტრუმენტო ქარხნის; ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალის“, № 2 და № 3 ტრიკოტაჟის, 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვრის“, ჩაის საწონი ფაბრიკების კოლექტივებმა. (საქინფორმი).

ხუთწლედის აღამიანები

ჭიათურა. ხუთწლედის მეორე წელს ჩინებულად შრომობს ახალი ითხვიხის მაღაროთუმართველოს კოლექტივი, რომელმაც მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა შვიდი თვის გეგმა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას შედეგად მიმდინარე წელს 40 ათას მანეთზე მეტი დაიზოგა.

სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა შორის არიან გვიროგბგამეგანები — შრომის წითელი დროშის ორდენოსანი იური ბირბიჩაძე, რომელიც ოც წელზე მეტია შახტში მუშაობს და მესამე ხარისხის დიპლომის ორდენოსანი შალვა ბუზალაძე. ამ ცოტახნის წინათ სულიკო ტაბატაძეს ჭიათურის ხაუკეთესო ელმავლის მემანქანის წოდება მიენიჭა.

ხუთასზე: ა. ბირბიჩაძე, ხ. ტაბატაძე და შ. ბუზალაძე ახალი ითხვიხის მაღაროსთან ცვლის დაწყებამდე წინ.

ფოტო. ვლ. ბინიხშვილის

ეს დღეები სოფლად

ნოგათეგი — სამშობლოს!

გორი

რაიონის მშრომელებმა დიდი გადამეტებით შეასრულეს კუროკოვანი ხილის საიუბილეო წლის დავალება, ნაცვლად 6.020 ტონისა დამზადებულია 6.434 ტონა ხილი. დამზადება გრძელდება.

თერჯოლა

რაიონის მებოსტნეებმა ნაცვლად წლიური დავალებით ნავარაუდევი 6.610 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.633 ტონა ბოსტნეული. გეგმის გადამეტებით კიდევ დამზადდა 1.000 ტონა.

მარნეული

მარნეულელმა მშრომელებმა წარმატებით დაანაღდეს საადრეო კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადების საიუბილეო წლის ვალდებულება და გეგმა. ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 17.000 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 17.040 ტონა საადრეო კარტოფილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 36.750 ტონისა — 36.951 ტონა ბოსტნეული. ბოსტნეულის დამზადება გრძელდება, მალე ვალდებულებაც გადამეტებით შესრულდება.

მაიაკოვსკი

რაიონის მშრომელებმა გადამეტებით შეასრულეს კუროკოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმა, ნაცვლად 598 ტონისა დამზადებულია 1.000 ტონა ხილი.

მექანიზატორთა წვლილი

ქობულეთი. (საკ. კორ.). ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა წლეულს 2150 ტონა ხარისხოვანი ნედლეული უნდა მიჰყიდოს სახელმწიფოს. უკვე მოკრეფილია გეგმის 90 პროცენტზე მეტი. სიერთო წარმატებებში დიდია „მცირე მექანიზაციის“ წვლილი. ხელით სატარებელი აპარატებით უკვე მოიკრიფა 800 ტონამდე ფოთოლი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე 50 ტონით მეტია.

მექანიზატორებმა ა. ნოსაჩოვამ, ლ. კუტუხიძემ, შ. გორდულავამ, ი. ბოგველაშვილმა, ნ. ბიქელაძემ და სხვებმა უკვე მოკრიფეს 6 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ჩაქველების პლანტაციებში წლეულს ისეთი ბარაქიანი მოსავალია, როგორიც არასოდეს არ ყოფილა.

გულითადი მილოცვა

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებების „აღმოსავლეთსიმგირქვანახშირის“, „კრასნოდონქვანახშირის“, „ტულაქვანახშირის“, „შახტიორსაანთრაციტის“ და „ესტონფიქლის“ კოლექტივებს

ძვირფასო ამხანაგებო!

უღრმესი კმაყოფილებით გავეცანი თქვენს შრომითს პატიჟებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა ადრემდე შესრულების შესახებ.

მეშახტეები სიტყვას ასრულებენ. წლის დამდეგიდან გაერთიანებათა შახტებსა და ჭრილებში მოპოვებულია 68 მილიონ ტონაზე მეტი სათობები, აქედან გეგმის გადაჭარბებით — 2,4 მილიონი ტონა ქვანახშირი და 900 ათასი ტონა ფიქალი. შესრულდა ბერეთვი შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ხარჯი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დაგეგმილნი.

თქვენი წარმატებანი უწინარეს ყოვლისა უზარმაზარ ყოფილ დიდმწარმოებლური სამთო ტექნიკისა და შრომის მოწინავე მეთოდების ერთიანი გამოყენების, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მუშაობის, სოციალისტურ შეჯიბრებაში მასობრივი მონაწილეობის მეოხებით.

თქვენს გაერთიანებებში გმირული შრომის, მაღალი პროფესიული ოსტატობისა და შრომისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს ეჩვენებენ ბრიგადები, რომლებსაც მეთაურობენ ამხანაგები კოლესნიკოვი და ბილიკი დონბასში, სმოლიანინოვი ალმოსავლეთ ციმბირში, კუზნეცოვი მოსკოვის ოლქში, პიარტელი ესტონეთში და სხვა მოწინავენი და ნოვატორები.

კარგია, რომ არ სჯერდებით მიღწეულს და ისახავთ უფრო შაღალ მიზნებს, რათა სამშობლოს დამატებით მისცეთ 1,1 მილიონი ტონა ქვანახშირი და ფიქალი. ახალი, გადიდებული ვალდებულებების მიღება მოწმობს თქვენს მაღალ პოლიტიკურ სიმწიფეს, შემოქმედებითს მიდგომას დარგში არსებული რეზერვების გამოყენებისადმი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების დროს. ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება სათბობზე.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენს მისწრაფებას — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ზეიმს შეხვდეთ ახალი შრომითი წარმატებებით, მხურვალედ გამოეხმაურებიან ქვანახშირის ყველა აუზში, მხარს დაუჭერს ჩვენს ყველა მეშახტე.

გულითადად გულოცავ თქვენი გაერთიანებების მუშაკს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებსა და ქვანახშირის მრეწველობის ყველა შრომელს ეროფესიულ დღესასწაულს — მეშახტის დღეს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

ლ. ბრეჟნევი

მ. ა. სუსლოვი ხელოვნების ოსტატთა კონცერტზე საქართველოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, რომელიც ბიჭვინთაში ისვენებს, დაესწრო ხელოვნების ოსტატთა კონცერტს.

კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ჯ. კახიძის ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ბრეგვაძე, პიანისტები ვ. კრაინევი და მ. მდივანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. მგალობლიშვილი, მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი გ. გოდბერგი, მსახიობი ვ. ტიტოვი და სხვები.

მიმართა რა ამხანაგ მ. ა. სუსლოვს, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა სახელით მხურვალე მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის.

დარბაზში შეკრებილი მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ საპატიო სტუმარს.

კონცერტს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

ამხ. მ. ა. სუსლოვმა მაღალ შეფასება მისცა კონცერტის მონაწილეთა ოსტატობას.

(საქინფორმი).

საგზაგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა

1977 წლის 25 აგვისტოს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა მორიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა, რომელიც პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივისათვის მოაწყეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა. იგი მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვას.

მოხსენება თემაზე „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ალსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი ამოცანები“ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ა. ჩხეიძემ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კითხვას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ნ. ვ. გურგენიძე.

(საქინფორმი).

მიფრინავს „კოსმოს-938“

1977 წლის 24 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-938“.

თანამგზავრზე დადგმული საშეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

საქართველოს დღეები სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

25 აგვისტოს საქართველოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, ეწვია მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. კოსტენკო მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახელით გულთბილად და გულითადად მიესალმა მზიური საქართველოს წარმომადგენლებს და მათი სახით მომძმე რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

— ეს შეხვედრა, — თქვა მან, — მიმდინარეობს დიდი და ნათელი დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცი წლისთავის წინა ხანებში. ამიტომ იგი განსაკუთრებით საესაამოვნოა. ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ მომძმე საქართველოს საუკეთესო წარმომადგენლებს, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს. მომძმე რესპუბლიკის დღეები მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების მაღნძლეზე საბჭოთა ხალხების მიღწევების დათვალიერება გახდა.

მოსკოველები და ოდესელების სტუმრები დიდი ინტერესით იცნობდნენ საქართველოს საიუბილეო ეკსპოზიციას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. იგი მოწმობს რესპუბლიკის მშრომელთა დიდ წვლილს კომუნიზმის მშენებლობაში.

შემდეგ ა. კოსტენკომ საქართველოს დელეგაციის წევრებს უამბო, თუ რა მიღწევები აქვთ გმირი ქალაქის — მოსკოველი მშრომელებს, რომლებიც ლენინურ-ლენინური დანანდ სოციალისტური ვიზიტზე და უმატებენ სამშობლოს თავიანთ შრომითს გამარჯვებებს.

საქართველოს დელეგაციის წევრებმა ინტერესით მოისმინეს ა. კოსტენკოს ნაამბობი გმირი ქალაქის განვითარების პერსპექტივების შესახებ. სადაც ახლა 32 რაიონში 8 მილიონამდე კაცი ცხოვრობს. დიდმაქალაქის საცხოვრებელი ფონდი შეადგენს 123 მილიონ კვადრატულ მეტრს, ე. ი. 2.300 ათს ბინას. საცხოვრებელი ფონდის ორი მესამედი 1960 წლის შემდეგ აშენდა. ამ ბოლო წლებში გაჩნდა მთელი რიგი დიდი საცხოვრებელი მასივები.

საუბრის დასასრულს ა. კოსტენკომ საქართველოს დელეგაციას საჩუქრად გადასცა ლამაზად გათლილი ალბომი გმირი ქალაქის მოსკოვის შესახებ. შემდეგის დროს ოლიმპიური სოფლის მშენებლობის შესახებ დელეგაციის წევრებს ესაუბრა მოსკოვის საბჭოს ოლიმპიური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ს. ნიბისოვი.

მოსკოვის საბჭოში გამართულ შეხვედრაზე გამოვიდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო პრობლემების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ჯ. ოკუჯავა.

საქართველოს დელეგაციის სახელით შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე. ჩვენ, თქვა მან, უსაზღვროდ მოხარული ვართ, რომ მოგვეცა საშუალება ამ იუბილეს წინა დღეებში შეეხვედროდით ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასსა და ახლობელ გმირ ქალაქ მოსკოვს. ჩვენ გულწრფელად გვახარებს დიდაქალაქის მშრომელთა წარმატებები. საბჭოთა ხალხის მიერ ექვსი ათეული წლის მანძილზე განვლილ გზას რომ თვალს ვავლებთ, დღეს განსაკუთრებული სიამაყით ვლაპარაკობთ დიდი ოქტომბრის მიერ ურღვევ კავშირად შედუღაბებული მრავალი ერთგვარის ადამიანების მძლავრი მონოლითური ერთიანობის შესანიშნავ ნაყოფზე.

ვ. სირაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებს გულთბილი, მეგობრული მიღებისათვის. საქართველოს დელეგაციის სახელით მასპინძლებს გადასცეს რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ბიუსტი, რომელიც შესრულებულია გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის ი. ნიკოლაძის მიერ.

მოსკოვის საბჭოში გამართულ შეხვედრაზე ესაუბრა ფილარმონიის ბალეტის ანსამბლის ხელმძღვანელი, ნ. ჭითანავა, პარტიის ბაბუშკინოს რაიკომის პირველი მდივანი ი. შიშოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის საგარეო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ე. ბეზრუკოვი.

24 აგვისტოს სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალურ მუზეუმს ესტუმრნენ საქართველოს სსრ დელეგაციის წევრები, რომლებიც მოსკოვში ჩამოვდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ საქართველოს დღეებში ჩვენი ქვეყნის მთავარ გამოფენაზე.

რესპუბლიკის წარგზავნილებმა ყურადღებით დაათვალიერეს მუზეუმის დარბაზები, დიორამა „ზამორის სასახლის იერიში“, საიუბილეო გამოფენა „ვ. ი. ლენინი და ოქტომბრის რევოლუცია საბჭოთა ხელოვნებაში“.

გაიმართა შეხვედრა, პარტიის ვეტერანებთან, რევოლუციური მოვლენების მონაწილეებთან. შეხვედრა გახსნა სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალური მუზეუმის დირექტორმა ფ. კოტოვმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ვეტერანმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ძველ ბოლშევიკთა ისტორიულ-ლიტერატურული გაერთიანების ამირკაკაკასიის სექციის თავმჯდომარის მოადგილემ ა. მისკინმა ქართველ სტუმრებს უამბო ამ დიდი მუშაობის შესახებ, რომელსაც სექცია ეწევა ოქტომბრის მე-60 წლისთავის დირსეულად შეხვედრისათვის.

ძველმა ბოლშევიკმა ნ. ალექსეევმა, რომელიც ამირკაკაკასიის ფედერაციის შექმნაში მონაწილეობდა, დამსწრეთ გაუზიარა მოგონებები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ, ილაპარაკა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობაზე.

საქართველოს დელეგაციის წევრებმა — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა პროფესორმა გ. ციციშვილმა და პირველი რესპუბლიკური ენციკლოპედიის „ეროვნული ენციკლოპედიის“ დირექტორმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. კობახიძემ შეკრებილთა უამბეს რესპუბლიკის მიერ მიღწეული წარმატებების შესახებ, თქვეს, თუ რა შთაგონებით და თავდადებით შრომობენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ოქტომბრის იუბილეს წელს.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ გულთბილი მადლობა მოახსენა პარტიის ვეტერანებს შეხვედრისათვის. მან დელეგაციის სახელით მუზეუმს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი — ეროვნული ნაწარმოები, რომელიც საქართველოს რევოლუციურ ამბებს ეძღვნება.

საქართველოს დელეგაციის წევრებმა ვეფხვიანი შემკული ლენინის ქანდაკება.

(საქინფორმი).

ქმური შეხვედრები

● მოსკოვის საბჭოში
● კარტის ვეტერანებთან

25 აგვისტოს საქართველოს დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, ეწვია მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. კოსტენკო ნაამბობი გმირი ქალაქის განვითარების პერსპექტივების შესახებ. სადაც ახლა 32 რაიონში 8 მილიონამდე კაცი ცხოვრობს. დიდქალაქის საცხოვრებელი ფონდი შეადგენს 123 მილიონ კვადრატულ მეტრს, ე. ი. 2.300 ათს ბინას. საცხოვრებელი ფონდის ორი მესამედი 1960 წლის შემდეგ აშენდა. ამ ბოლო წლებში გაჩნდა მთელი რიგი დიდი საცხოვრებელი მასივები.

საუბრის დასასრულს ა. კოსტენკომ საქართველოს დელეგაციას საჩუქრად გადასცა ლამაზად გათლილი ალბომი გმირი ქალაქის მოსკოვის შესახებ. შემდეგის დროს ოლიმპიური სოფლის მშენებლობის შესახებ დელეგაციის წევრებს ესაუბრა მოსკოვის საბჭოს ოლიმპიური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ს. ნიბისოვი.

26 აგვისტოს სსრ კავშირის რევოლუციის ცენტრალურ მუზეუ

ჩვენი ცხოვრების პირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

დემოკრატიის ფასი

მას შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო განხილვასთვის გამოტანილ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, დასავლეთის პრესას ორგანოებშა გამოჩნდა ბევრი ავტორი, რომლებიც ცდილობენ დაამახინჯონ მისი აზრი და მხიბვნელობა, საეჭვო გახადონ ჩვენი ძირითადი კანონის ნამდვილად დემოკრატიული ხასიათი.

მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლაპარაკი დემოკრატიაზე, პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებზე მხოლოდ მაშინ იძენს რეალურ აზრს, როცა გამოიხატება არა ლოზუნგებისა და კეთილი სურვილების სახით, არამედ ხელშესახებ განხორციელებას პოულობს კონკრეტული ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოვრების ნამდვილ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ პირობებს, რაც შეესაბამება ადამიანის ძირეულ ინტერესებს, მის საარსებო მოთხოვნილებებს.

ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის დებულებანი და კოდეკს უფრო მეტად ახალი ძირითადი კანონის პროექტის მუხლები სსრ კავშირის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იურიდიული პრაქტიკა მოქალაქეთათვის უზრუნველყოფენ პოლიტიკურ უფლებათა და თავისუფლებათა ისეთ მდიდარ სპექტრს, რომლის თანასწორი დასავლეთის არც ერთმა სახელმწიფომ არ იცის. სსრ კავშირში არა მარტო გამოცხადებულია, არამედ რეალურადაც უზრუნველყოფილმა და გარანტირებულია მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მართვაში. 2,2 მილიონზე მეტ საბჭოთა ადამიანს, ირჩევენ ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატებად. ე. ი. ხალხის სრულუფლებიან წარმომადგენლებად, რომლებიც მისი სახელით და მისი დავალებით ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლებას. საბჭოები, რომლებიც წარმოადგენენ არა მარტო სახელმწიფო ორგანოებს, არამედ მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც, ყირდნობიან ფართო სახალხო აქტივს, რომელიც დღეს შეადგენს 30 მილიონზე მეტ კაცს, ესე იგი მასში შედის სსრ კავშირის ყოველი მერვე მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ახალი კონსტიტუციის პროექტის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოები ერქმევათ.

თითოეულ საბჭოთა ადამიანს შეუძლია სრული ზომით სარგებლობდეს სიტყვის, სინდისის, რწმენის თავისუფლებით, თითოეულისათვის გარანტირებულია პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, მიწერ-მოწერის საიდუმლოების დაცვა და ასე შემდეგ. საბჭოთა კავშირში ვერავინ დაუსჯელად ვერ ხელყოფს ადამიანთა ღირსებასა და სულიერ ინტერესებს, მათს პირად სიცოცხლეს. მოკლედ რომ ვთქვათ, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც სოციალისტურ საზოგადოებაში დაცულია ყველა თავისუფლება და უფლება, რომლებიც უზრუნველყოფენ პატივისცემას ადამიანისადმი. ქმნიან მდიდარ შესაძლებლობებს მისი ჰარმონიული განვითარებისათვის. ფართო გასაქანს აძლევენ აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღაწეობას, შეესაბამებიან ადამიანთა მზარდ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს.

ამასთან, თუ მივმართავთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, დავინახავთ, რომ ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელსაც იგი შეიცავს, პირდაპირ ისახავს მიზნად გამოირიცხოს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებიდან მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ყოველი შესაძლებლობა. უკვე მე-4 მუხლში საბჭოთა მოქალაქეთათვის ძირითადი კანონით მინიჭებულ უფლებათა დაცვა ეკალება ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და თანამდებობის პირებს. სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებებისადმი მამართულ ამ მოთხოვნებს მნიშვნელოვან განმტკიცებს ახალ კონსტიტუციაში ბიუროკრატიზებული მოქალაქეთა სიოცხლისა და ჯანმრთელობის, ღირსებისა და პატივის ხელყოფისაგან სასამართლო დაცვის უფლება. კონსტიტუციით დადგენილი წესით სსრ კავშირის თითოეულ მოქალაქეს შეუძლია სასამართლოში გასაჩივროს თანამდებობის პირთა მოქმედება, თუ ისინი დაარღვევენ კანონს. ადადამტებენ თავიანთ უფლებამოსილებას და შელახავენ მოქალაქეთა უფლებებს. ძირითადი კანონის პროექტის 58-ე მუხლის თანახმად ყოველ ადამიანს შეუძლია მოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე თანამდებობის პირების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

დასავლეთის პრესაში ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი არ ითვალისწინებს „ადამიანის ორგანულ მისწრაფებას ქცევასა და განსჯაში ზეკარდაუდებელი თავისუფლებისა და აბსოლუტური დამოუკიდებლობისაკენ". ჩვენ მიგვაჩნია, და ამას არ ვფარავთ, რომ ამგვარი დამოუკიდებლობა ნამდვილად დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არის და არც შეიძლება იყოს. ღირსშესანიშნავია, რომ ჯერ კიდევ შეერთებული შტატების ერთ-ერთი პირველი პრეზიდენტი, დამოუკიდებლობის დეკლარაციის პროექტის ავტორი ტომას ჯეფერსონი თავის დროზე ამბობდა, რომ „სრულიად ზღვარდაუდებელი თავისუფლება არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არა დესპოტიზმი".

საბჭოთა ადამიანებს თავისუფლება და დემოკრატია მიაჩნიათ საერთო-სახალხო კუთვნილებად, რომელიც მოპოვებულია მუშათა კლასის, ყველა შრომელთა ღონისძიებებით. 'თუ ვინმე გაიფიქრებს, რომ მას ნება აქვს ანგარიშს არ უწევდეს ამას, რომ შეუძლია ისე იქცეოდეს, როგორც მოეპრიანება, სხვა ადამიანთა უფლებებისა და ინტერესების სახიფათოდ, ასეთ ადამიანს უნდა ეს-მოდეს, რომ საზოგადოებას, კოლექტივს უფლება აქვთ გამოვიდნენ თავის დასაცავად.

„ცხადია, ამხანაგებო, — ხაზგასმით აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, — კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს „ადამიანის ორგანულ მისწრაფებას ქცევასა და განსჯაში ზეკარდაუდებელი თავისუფლებისაკენ". ჩვენ ამ ფრაზას ამ ადგილზე ამოვიღებ, ეგოისტური და ანგარებითი მიზნებით სურთ ისე იმოქმედონ, რომ არავის და არაფერს არ დაუწიონ ანგარიში. არა მარტო უგულურება, არამედ დანაშაულიც იქნებოდა ხელი არ შეგვეშალა ამისათვის. ამიტომ საბჭოთა ხალხი სოციალისტურ საზოგადოებაში არსებულ ამგვარ „თავისუფლებათა" შეზღუდვებს სამართლიანად, უფრო მეტიც, დიდად ჰუმანურად თვლის, რამდენადაც ისინი მხოლოდ ელემენტარული თავდაცვის ზომებია ანტისაზოგადოებრივი, სოციალისტური წყობილებისადმი მტრული ელემენტების წინააღმდეგ.

ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება, თუ მხვიერ ზომებს შევადარებთ იმ შეზღუდვებს ხასიათს, რომლებიც დასავლეთში მოქმედებს.

ამასთან დაკავშირებით ახლა მაგონდება სიტყვები, რომლებიც რუსმა მწერალმა თ. მ. დოსტოევსკიმ თქვა, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა. „როდის შეიძლება გააკეთო ყველაფერი, რაც გნებავს? — კითხულობდა იგი. — როცა მილიონი გაქვს. აძლევს თუ არა თავისუფლება ყველას თითო მილიონს? არა. რა არის კაცი უმილიონოდ? უმილიონო კაცი ის არ არის, ვინც ყველაფერს აკეთებს, რაც ნებავს, არამედ ის არის, ვისაც ყველაფერს უშვრების, რაც ნებავთ". ეს ნათქვამი იყო ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. მაგრამ განა დღეს ჩვენ იმის უშუალო მოწმენი არა ვართ, რომ მონოპოლისტური ბურჟუაზია, რომელიც ცდილობს თავი მოჰქონდეს ადამიანურ უფლებათა დამცველის სამოსლით, თავის ქვეყნებში მოქმედებს ფულის ტრაფის ყოველისშემძლეობის იმავე კანონებით. იგი ჩემეულობს საბჭოთა ადამიანებსაც ასწავლოს დემოკრატია, თვითონ კი ნერგავს ტერორსა და ძალადობას, აქიზებს მზარდ პოლიციურ თვითნებობას, მოქალაქეებზე ტოტალურ თვალთვალს, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა დევნას.

„ჯერ თავად თითი დაიბანე, სანამ ჩემს ლაქებზე მიუთითებდე". — თქვა ერთხელ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მცხოვრებმა გამოჩენილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და ენციკლოპედისტმა ბენჯამენ ფრანკლინმა. ცუდი არ იქნება, რომ საბჭოთა დემოკრატიის ახლანდელმა გამჭრიახებმაც დაიჯერონ მისი გონივრული რჩევა...

ვ. გუშჩინი,
საერთაშორისო მიმიმხილველი.

კომკავშირული აგიტბრიგადები

22 აგვისტოს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ვიმგზავრეთ კიდევ ერთი კომკავშირული აგიტბრიგადა, მისი მარშრუტი გადის შემდეგი მიმართულებით: ცხინვალი-ზაზარი-ახალციხე-ასპინძა-ადიგენი - ხულო-შუახევი-ქედა - ხელვაჩაური-ბათუმი. ახალგაზრდა პროპაგანდისტები და აგიტატორები საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წაიკითხავენ ლექციებს და მოაწყობენ საუბრებს, რომლებშიც განუმარტავენ მშრომელებს ქვეყნის ძირითადი კანონის მუხლებს. მოაწყობენ თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, მონაწილეობას მიიღებენ ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაულებში. (საქინფორმი).

ახალი კონსტიტუციის პროექტის 45-ე მუხლით განათლების უფლება და მასი საყალდებულო წესით განხორციელების მასშტაბები შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება. პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე". კონსტიტუციის მე-40 მუხლით პროფესიული განათლების უფლება საბჭოთა მოქალაქეების შრომის უფლებასთან უშუალო კავშირშია განხილული. ამ უფლებას (შრომის უფლებას) უზრუნველყოფს მეურნეობის სოციალისტური სისტემა. საზოგადოების საწარმოო ძალების განუხრელი ზრდა, ფულსი პროფესიული სწავლება. შრომითი კვალიფიკაციის ამაღლება და ახალ სპეციალობათა სწავლება. განათლების უფლების ასე ვრცელი ფიფაბაზონი უპრეცედენტია საკაცობრიო სახალხო განათლების ისტორიაში. რაც მთავარია, იგი ლიტონი სიტყვა კი არ არის, არამედ რეალური დადასტურებაა იმ წარმატებებისა, რაც ახალგაზრდობის მომავალზე ზრუნვის შედეგად პრაქტიკულად არის მოპოვებული საბჭოთა ქვეყანაში.

ახალი ტექნიკური ბაზით შეიარაღებულმა ფაბრიკა-ქარხნებმა ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გარდაქმნის სფეროში მოპოვებულმა წარმატებებმა ალტერნატიულად დააყენეს საბჭოთა ქვეყნის წინაშე საკითხი კვალიფიციური მუშახელის მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ. თუ ყოველივე ამას დაფიქრებენ საბჭოთა ადამიანების საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს ზრდის ამჟამად პროცესს, რომელიც ასევე დიდი მასშტაბებით მოითხოვს კვალიფიციურ მუშახელს ახალი სპეციალობების მიხედვით, ნათელი გახდება, თუ რარიგ ვრცელ ფრონტად იქნა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა, როგორც განათლების ერთიანი სისტემის ორგანული ნაწილი.

საანგარიშო გამომთვლელი მანქანების შემკეთებელი ელექტრომემონტაჟი: საქართველო და საზეიცო სამუშაოების კონტრაქტორი; მბახველი-კონსტრუქტორი; ელექტროსამონტაჟო სამუშაოების კონტრაქტორი; ქიმიური წარმოების ფართო პროფილის ოპერატორი; ელმავლის მემანქანე; შავი მეტალურგიის საწარმოთა ოპერატორი; ფეროშენადნობთა მდნობელი; ფაიფურეული ქლიბების პროცესის ოპერატორი; ელექტრომანქანებისა და აპარატების ამწყობი-ზეიცალი; არქიტექტურული დეტალების მძღოლი; ელექტროსადგურების ოპერატორი; ელექტრონული ზეიცალი-მექანიკოსი; ავტომატური და ნახევრადავტომატური დანადგარების ოპერატორი; ფაიფურისა და ქაშანურის ჩამომსხმელი მეყალიბე; მზა ქსოვილების ხარისხის კონტროლიორი; ტრაქტორის ნაწარმის ზედა ტანსაცმლისა და ტილოს მჭრელები — მრგვალსაქსოვ ბრტყელსაქსოვ მანქანებზე; ოსტატი მეჩაიე, მელიორატორი, სოფლის მშენებლობის ოსტატი, ოსტატი მეურნეობელმ მსხვილფეხა-რქიანი მეცხოველეობის II კლასის ოსტატი; საწარიანი და საწყობი მანქანების ოპერატორი ზეიცალის კვალიფიკაციით; დისტანციური თვითმფაფი ელმავრი ამწეების მემანქანე...

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები თანდათან უკეთ და უკეთ აწყობენ ზემოთდასახელებული და სხვა პროფესიების მიხედვით კვალიფიციური მუშების მომზადებას. ქვეყნის ტექნიკური პოტენციალის ზრდა-განვითარების შედეგად ხვალ და ზვრ ეს ნუსხა ახალი სპეციალობებით შეიავსება და ამ სისტემას საზრუნავი არ მოაკლდება.

ამაში თვალსაჩინოდ დაეწმენდისთვის, თუ თავისი შინაგანი ბუნებით რამდენად არა ჰგვანან ეს სპეციალობანი ძველ სპეციალობებს, ჩვენ მკითხველს ახლოს გავაცნობთ, ერთი შეხედვით, ისეთ პრიმიტიულ სპეციალობებს, როგორიც არის ოსტატი მეურნეობელი. ამ სპეციალობებზე საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში იღებენ რვაწლიანი განათლების მქონე მოზარდებს: ისინი სამი წლის განმავლობაში, გარდა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის IX-X კლასების სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული ძირითადი საგნებისა — მშობლიური ლიტერატურა, როსული ენა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, — ისეთი საგნების თეორიული და პრაქტიკულ კურსს სწავლობენ, როგორიც არის მეურნეობების ფერმებში გამოყენებული ელექტრო და სხვა მოწყობილობის ტექნოლოგია, მეურნეობების ზოოლოგიური საფუძვლები და ზოოპიგიენა, მეურნეობების საკვების დამზადების ტექნოლოგიური საფუძვლები, შრომის ორგანიზაცია მეურნეობების ფერმებში და პროდუქციის ტრანსპორტირება. ტექნიკური ხაზვა და სხვ. ეი, ვინ არის თანამედროვე მეურნეველი.

საშუალო პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულნი თავიანთ სპეციალობათა მიხედვით სათანადო მოწმობებთან ერთად საშუალო სკოლის ატესტატს იღებენ. მათგან გამოჩენა და ბეჯითნი უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობენ სწავლას, წარჩინებულ მოსწავლეებზე სრულად ვრცელდება ის შეღავათები, რაც საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ მედალოსან მოსწავლეთა მიმართ არის დაწესებული უმაღლეს სასწავლებლებში.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა თავისი სასწავლებლებით და კურსდამთავრებულებით გადამწყვეტ როლს ასრულებს სახალხო დოვლათის შექმნის საქმეში, ჩვენი ფართო საზოგადოებრიობის გარკვეული ფენებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მხრივ იგი ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს სათანადო ზრუნვით.

არაიშვიათად პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი თავისი სპეციალობით არ მუშაობს, რაც ხშირად იმით არის გამოწვეული, რომ მათ ბინითა და სხვა მხრივ არ უქმნიან საჭირო პირობებს, რომ გულიანად მოჰკიდონ საქმეს ხელი. ეს ჯერ ყურადღების მოსწავლე ახალგაზრდობას ამ სასწავლებლებზე.

ჩვენი ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები და განათლების ორგანოები ვერ ითვალისწინებენ ამ სისტემის სასწავლებლების გადამწყვეტ როლს ამ სიკეთის თვისების საქმეში, რასაც ტექნიკური პროგრესი გვთავაზობს.

ეს კი იღუნებს ყურადღებას მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისადმი, ფიტავს მის შინაარს. მართლაც, სასკოლო ცხოვრების შესწავლა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ადასტურებს ამ საშფოხარო მოვლენას: თეორიული სწავლების არადამაკმაყოფილებელი ხარისხი მოსწავლეთა პრაქტიკულ წრთობასთან, რაც ასერიგად ეუსნის ეს ფეხორობას. უმოქმედო კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელოსნოები, ტექნიკურ საშუალებათა ნაკლებობა, ფფუმარე კონფიდენციალური, მოსწავლეთა პრაქტიკულ-ტექნიკური საქმიანობის უაღრესად დაბალი დონე, მოუვლელი სასწავლო ნაკვეთები, მოსწავლეთა ხშირი გაცდენები არაკვალიფიციურ შრომით საქმიანობაში მათი ჩაბმის მიზეზით და სკოლის ცხოვრებაში გამეფებული მრავალი სხვა მსგავსი მოვლენა მაცილარად ბოჭავენ მოსწავლეთა ინტერესს ეკონომიკა პრაქტიკული საქმიანობისადმი. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ბევრი უმაწვილი კაცი კარგავს საკუთარი შესაძლებლობების კრიტიკულად შეფასების უნარს, თამამად მიაბიჯებს უმაღლეს სკოლისაკენ და იქ განცდილ მარცხს სხვას აბრალებს. მასწავლებელთა ერთი ნაწილიც არ ეღელვის თავისი აღზრდილის დაბალ ნიშნებზე!..

როცა საქმე ეხება მატერიალური წარმოების სფეროში ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების პრაქტიკულად ჩაბმას, ამ საქმისადმი სიმაბეთიერად ვერა ვართ განწყობილნი. ეი ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი ვინმე ადგილ საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომისადან, და როგორც ჩანს, ეს ასე ადარ ეგონა. [illegible] მისადმი ჩვენს შინაგან. [illegible] ნულ დამოკიდებულებას არსებითად არ გადავსინჯავთ, რადგან ახალგაზრობის მომავალ პროფესიულ ბიდს ეიმეტეს შემთხვევებში სწორედ მშობლები წყვეტენ, ზემოდან საუბარს ყოველთვიდა. საგანობრივი საუბრები არ შეიცვალოთ, მშობლთა საზოგადოებრიობის თართო ფენებში ჯერ კიდევ საკმაოდ ღრმად აქვს ადგამული თესული რწმენად ქალულ შიზიდულებას, რომ ოყო სრულფასოვანი და სასარგებლო კაცი, ეს უპირველეს ყოვლისა იმას გულისხმობს, რომ ქალდეს უმაღლესი განათლება და ასეთი განათლება ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მიიღო საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე.

თავისუფალი შერჩევა პროფესიებისა გულისხმობს არჩევანის შეხამებას ქვეყნის წინსწინის ინტერესებთან და არა ამას, რომ ერთ ადგილზე ათი კაცი მოდიოდეს და მათ შორის ერთი იყოს ფუნდამენტალური სამეცნიერო, მაშინ როცა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგები ასერიგად საჭიროებენ კვალიფიციურ მუშაკებს, ამასთან თავისუფალი შერჩევა პროფესიისა გულისხმობს შინაგანად იყო განწყობილი გარკვეული პროფესიისადმი და, რაც მთავარია, შეგწევდეს უნარი ბეჯითად მოეკიდო მის დაუფლებას. ყოველივე ეს უპირველეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ პროფესიის თავისუფალ შერჩევის უფლება შეზღუდული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების სასიცოცხლო ამოცანების შეგნებულ გაანგარიშებასთან და თითოეული ადამიანის ინტერესებთან. ეი, ამას ჭქვია სახელად ფულების ბონიერული შეხამება საზოგადოებრივ მოვალეობასთან და ვალდებულებასთან.

სამწუხაროდ, ჩვენ ამაში ზშირად ვიეიწყებთ და სწორედ ამის შედეგია ის, რომ რესპუბლიკაში ასე დიდი რაოდენობით ვიგვიანებ უმაღლესი განათლების მქონე ისტორიკოსები, ეკონომისტები და ზოგიერთი სხვა დარგის სპეციალისტები. ამითვე გამოწვეული ისიც, რომ ყოველწლიურად უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა ფაკულტეტზე ერთ ადგილზე 10, 15, 20 და ზოგჯერ მეტი აბიტურიენტი აბარებს გამოცდას, მაშინ როცა პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში თითო ვაკანტურ ადგილზე ორი-სამი აბიტურიენტი თუ მოდის, ისიც ცნობილია, რომ არაიშვიათად ზოგიერთი ახალგაზრდა ხუთჯერ-ექვსჯერ წელგამოუშვებლივ ცდილ ბედს და უშედეგოდ. მაგრამ ეს კი არ არის აღსანიშნელი, თუ რარიგ უარყოფითად მოქმედებს ასეთი თანალი ყმაწვილი კაცის თუ ქალიშვილის მომავალზე, მათ სულიერ განწყობილებაზე, ოჯახზე. ეს კი არაიშვიათად ახალგაზრდას აყენებს მოლიპულ გზაზე მისკენ გამომდინარე ძმიმე შედეგებით.

ახალგაზრდობის პროფესიული განათლებისა და ცოდნეთნების საქმე ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მწვავე სოციალური პრობლემის ხასიათს იღებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველანი ერთობლივად და პირველ რიგში განათლების ორგანოები, განათლების მუშაკთა დიდი არმია ვდგავართ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნის წინაშე: მოვეფოთ ბოლო მატერიალური დოვლათის სფეროსადმი ახალგაზრდობის ფუქსავატურ დამოკიდებულებას, გულოდრძნილობას, ინერტულობას, მივაღწიოთ იმას, რომ თითოეული ჩვენგანი პროფესიონალის ზომადეს ქვეყნის საჭიროებებით, ეკონომიკის მოთხოვნილებებით, მოწიწებით მოვეკიდოთ ნივთიერი დოვლათის შემქმნელ ადამიანებს და ღრმა პატივი ვცეთ მათს შრომასა და ბარეს, შეექმნათ პირობები, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა ბაძავდეს მათ.

პირველ რიგში სწორედ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა და მასწავლებლობა არის ვალდებული ერსებითად შეცვალოს თავი-ნათლებინ კომიტეტინ გულისყური იქით არის მიპყრობილი, რომ ამ ხუთწლედის ბოლოსათვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მთელი ქსელი საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად გადაეთედეს. ამასთან დაკავშირებით გეთვალსაწინებელია, რომ 1980 წლისათვის რესპუბლიკაში იქნება 85 ასეთი სასწავლებელი (მათგან ქალაქად 61, სოფლად — 24). ეს ზრდა წარმოადგენს დიდი სოციალური მნიშვნელობის მოვლენას და ადასტურებს საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვას საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებაზე: მართლაც, ის გარემოება, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლენი 3-4 წლის განმავლობაში უფასოდ სწავლობენ, ვეებით, ბინითა და ტანსაცმლით მთლიანად უფასოდ ირიან უზრუნველყოფილი, ხელსაყრელ პირობებს ქმნის, რათა საშუალო განათლება მიიღონ იმ მოზარდებმაც, რომლებსაც საშუალება არ ჰქონდათ საშუალო სკოლის უფროსი კლასები დამთავრებინათ.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე ეს ტყვეთ მაინც შევჩერდეთ იმ დიდი სოციალურ-კულტურული როლის დახასიათებაზე, რასაც ასრულებენ საშუალო სკოლის ბაზაზე არსებული ერთ და ორწლიანი ტექნიკური სასწავლებლები, რომელთა ქსელი ფართოდ გაიშალა მეცხრე ხუთწლედში. ისეთ პირობებში, როცა დიდი მასშტაბებით იზრდება საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა რაოდენობა და ბევრი მათგანი უმაღლეს სასწავლებლებში ვერ ხვდება, ეს სასწავლებლები ითასობით ახალგაზრდას აძლევენ საშუალებას უფასოდ, სახელმწიფოს მხრივ სრული ნივთიერი უზრუნველყოფის პირობებში დაეუფლონ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის მეტად საჭირო პროფესიებს და დასაქმებულ იქნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. მასობრივი განათლების სისტემამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ამ სასწავლებლებისაკენ, ჩვენი ახალგაზრდობის ლტოლვა მყარი ხასიათი მიეცეს.

საქართველოს განათლების სამინისტროსა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების კომიტეტს შორის მტკიცე კონტაქტები არსებობს. ჩვენ ვეკითხეთ სიერთო საქმეს. მაგრამ აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ ჩვენს სკოლებს, ჩვენს მეთოდურ ორგანოებს, ჩვენს მასწავლებლობას მომავალში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლებისადმი ერთიერთ მეტი დახმარება მოგვეთხოვება.

უშ. ოგოლაძე,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, პროფესორი.

გზა- პროფტექნიკურს!

მასწავლებელთა კვეისტოს თათბირებისათვის

ახალი კონსტიტუციის პროექტის მე-17 მუხლით ნებადართულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე. ცხადია, ასეთი ეუფლებრივი. მდგომარეობა ხელს შეუწყობს შინამრეწველეს მატერიალური წარმოების გაფართოებაში, პროდუქციის მეტი ოდენობით წარმოებაში. მაგრამ აქვე ის არის გამორიცხული, რომ ზოგან შინამრეწველურ-ხელოსნურმა სარეწებმა ზიანი მიაყენონ ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობას. ამიტომ მიზნეშეწონილად მიმაჩნია მე-17 მუხლს ბოლოში დაემატოს: „...იმ შემთხვევაში, თუ სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებს ზიანს არ მიაყენებს".

მეათე ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია ცხადია, მომდევნო ხუთწლეულები კიდევ უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამიტომ სასურველი იქნება მე-13 მუხლის მეორე აბზაცი დაიწეროს ასე: „შესაბამისად პრინციპისა: თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომისა და ხარისხის მიხედვით"... შემდეგ როგორც ტექსტშია.

ბ. მაჭარაშვილი,
პარტიის ხაშურის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე

წმინდათაწმიდა მოვალეობა

ახალი კონსტიტუციის პროექტის 62-ე მუხლის მეორე აბზაცში ნათქვამია: „სოციალისტური სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია".

მიზანშეწონილად მიმაჩნია მას დავამატოს: „სისტემატურად ვზრუნავდეთ დიდი სამამულო ომის მონაწილეთა, ომის ინვალიდთა, ომში დაღუპულთა ოჯახების ხაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის და ომში დაღუპულთა სახელების უკვდავსაყოფად", შემდეგ კი როგორც ტექსტშია.

ა. მიქაუტაძე,
დიდი სამამულო ომის ვეტერანი.
ობშა. სოფ. გეზათი.

ახალგაზრდის პრობლემები

ერთი მთავარი მიზეზი ამისა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი ვინმე ადგილ საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომისადან, და როგორც ჩანს, ეს ასე ადარ ეგონა. [illegible] მისადმი ჩვენს შინაგან. [illegible] ნულ დამოკიდებულებას არსებითად არ გადავსინჯავთ, რადგან ახალგაზრობის მომავალ პროფესიულ ბიდს ეიმეტეს შემთხვევებში სწორედ მშობლები წყვეტენ, ზემოდან საუბარს ყოველთვიდა. საგანობრივი საუბრები არ შეიცვალოთ, მშობლთა საზოგადოებრიობის თართო ფენებში ჯერ კიდევ საკმაოდ ღრმად აქვს ადგამული თესული რწმენად ქალულ შიზიდულებას, რომ ოყო სრულფასოვანი და სასარგებლო კაცი, ეს უპირველეს ყოველისა იმას გულისხმობს, რომ ქალდეს უმაღლესი განათლება და ასეთი განათლება ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მიიღო საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე.

თავისუფალი შერჩევა პროფესიებისა გულისხმობს არჩევანის შეხამებას ქვეყნის წინსწინის ინტერესებთან და არა ამას, რომ ერთ ადგილზე ათი კაცი მოდიოდეს და მათ შორის ერთი იყოს უზრუნველყოფილი სამეცნიოთა, მაშინ როცა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგები ასერიგად საჭიროებენ კვალიფიციურ მუშაკებს, ამასთან თავისუფალი შერჩევა პროფესიისა გულისხმობს შინაგანად იყო განწყობილი გარკვეული პროფესიისადმი და, რაც მთავარია, შეგწევდეს უნარი ბეჯითად მოეკიდო მის დაუფლებას. ყოველივე ეს უპირველეს ყოველისა ნიშნავს იმას, რომ პროფესიის თავისუფალ შერჩევის უფლება შეზღუდული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების სასიცოცხლო ამოცანების შეგნებულ გაანგარიშებასთან და თითოეული ადამიანის ინტერესებთან. ეი, ამას ჭქვია სახელად ფულების ბონიერული შეხამება საზოგადოებრივ მოვალეობასთან და ვალდებულებასთან.

სამწუხაროდ, ჩვენ ამაში ზშირად ვიეიწყებთ და სწორედ ამის შედეგია ის, რომ რესპუბლიკაში ასე დიდი რაოდენობით ვიგვიანებ უმაღლესი განათლების მქონე ისტორიკოსები, ეკონომისტები და ზოგიერთი სხვა დარგის სპეციალისტები. ამითვე გამოწვეული ისიც, რომ ყოველწლიურად უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა ფაკულტეტზე ერთ ადგილზე 10, 15, 20 და ზოგჯერ მეტი აბიტურიენტი აბარებს გამოცდას, მაშინ როცა პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში თითო ვაკანტურ ადგილზე ორი-სამი აბიტურიენტი თუ მოდის, ისიც ცნობილია, რომ არაიშვიათად ზოგიერთი ახალგაზრდა ხუთჯერ-ექვსჯერ წელგამოუშვებლივ ცდილ ბედს და უშედეგოდ. მაგრამ ეს კი არ არის აღსანიშნელი, თუ რარიგ უარყოფითად მოქმედებს ასეთი თანალი ყმაწვილი კაცის თუ ქალიშვილის მომავალზე, მათ სულიერ განწყობილებაზე, ოჯახზე. ეს კი არაიშვიათად ახალგაზრდას აყენებს მოლიპულ გზაზე მისკენ გამომდინარე ძმიმე შედეგებით.

ახალგაზრდობის პროფესიული განათლებისა და ცოდნეთნების საქმე ზემოაღნიშნული მიზეზების გამო მწვავე სოციალური პრობლემის ხასიათს იღებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველანი ერთობლივად და პირველ რიგში განათლების ორგანოები, განათლების მუშაკთა დიდი არმია ვდგავართ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნის წინაშე: მოვეფოთ ბოლო მატერიალური დოვლათის სფეროსადმი ახალგაზრდობის ფუქსავატურ დამოკიდებულებას, გულოდრძნილობას, ინერტულობას, მივაღწიოთ იმას



მოსავალი—77: გამოცდილება და პრობლემები

საგარეჯოელებმა სიტყვის ფასი იციან

□ მეზობელი გურჯაანის რაიონის მევენახეთა გამოცდილება — გზად და ხიდად! □ იძენება 23.000 ტონა ყურძენი!

წლევანდელმა ქარვეულმა ამინდებმა როგორც ემინდვრეული, ეიე მეზვეული დიდი საქმე გაუჩინა მეურნეობათა ხელძღვანელებს, პარტიული ორგანიზაციების მეიო აწოროდ წარმართულმა საქმიანობამ — რეზერვეიეი, ტექნიკის, მეცნიერული აგროტექნიკის უნარიანად გამოყენებამ, შრომის რაციონალურმა ორგანიზაციამ თავისი დადებითი შედეგი გამოიღო, შევინარჩუნეთ თითოეული მტევანი, რაც უზვი მოსავლის ძიღეიას გვპირდება. ამეკმად რაიონის კომუნისტეიის, ყველა მშრომელის ყურადღება ვენახეიეიკენ არის მმართული. ისინი სიცხეისგან შეწუხეიულ ვაზს აწვდიან მაცოცხლებელ წყალს. ვენახები მთლიანად 4.122 ჰექტარზე ერთხელ უკვე მოვრწყეთ, მიმდინარეობა მეორე რწყვა.

თუ როგორც ეტყვიან, მოსავალი კარზეა. რაიონის პარტიული ორგანიზაციის სახრუნავი ახლა ის არის, რომ მოკლე დროში მოვართვლიანოთ, მთლიანად შევინარჩუნოთ ტექნიკურ სიფიფქეში მყოფი ყურძენი, დროულად მივიტანოთ იგი სახელმწიფო მარნებში, დანაკარგებს არ ჰქონდეს ადგილი არც ვენახში და არც მარნში.

რაიონში წლიმით დამკვიდრეიულმა გამოცდილებამ —მარცვლეული კულტურეიის მოსავლის 10-12 დღეში აღებამ ბევრი რამ გვასწავლა. წარსულ წლებში რთველიც ძალზე ჭიანურდებოდა. ამას მოსდევდა ყურძნის ხარისხის გაუარესება, დანაკარგები, გურჯაანელთა მაგალითით ამ დასკვნამდე მივედით, რომ ამ საქმეშიც კრიტიკულად ხაგებეხდა. შეგვეგრნია და დაგვედგინა ყურძნის კრეფის ყველაზე ოპტიმალური ვადა. წლეულს რთველს სამდგილად 10-15 დღეში დავამთავრებთ, თითოეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ღვინის ქარხანაში დეტალურად შევისწავლეთ, გავაანალიზეთ მდგომარეობა და საკითხი განვიხილეთ პარტიის რაიკომის ბიუროზე. ღონისძიებებიც შესაბამისი დავსახეთ.

რაიკომის ბიუროს დადგენილება ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობეიეი, ღვინის ქარხნეს პარტიულმა ორგანიზაციებმა გულდასმით და დაწვრილებით განიხილეს.

რთველისათვის მზადების საკითხს მიეუძღვენით აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ღვინის ქარხნების, „სოფლტექნიკის“, ავტოსატრანსპორტო კანტორის პასუხისმგებელ მუშაკთა გაფართოებული სხდომა; აქ უკვე მათ გაეცანით რთველის ჩატარების კონკრეტული გეგმა-გრაფიკი. ყველას თავისი დავალება მიეცა.

გურჯაანელთა მაგალითისამებრ, რთველს ისე მოვაწყობთ, რომ ყურძნით დატვირთული პირველი ავტომანქანა ღვინის ქარხანაში დილის 8 საათზე მივიდეს.

ყურძნის დროულად კრეფის საქმეში გამოვიყენებთ გურჯაანელი მეგობრების სხვა გამოცდილებასაც, კერძოდ, შრომის მატერიალური და მორალური წახალისების მეთოდებს. ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ყველა წამახალისებელი ღონისძიება ისე შევიმუშაეთ და რეკომენდაცია მივეცით კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, რომ ამ ღონისძიებით საშუალო მკრეფავი დღეში მიიღებს 12-15 მანეთს, ხოლო მოწინავე მკრეფავი 25 მანეთამდე. ეს იციან რაიონის შრომელებმა და რთველში ნამდვილად ხალისით იშრომებენ.

პარტიის რაიკომის ბიუროზე შემუშავებული და დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შრომის უკეთესი ორგანიზაციის მიზნით მივამაგრეთ რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკები. თუ შარშან დღეში საშუალოდ 700 ტონაზე მეტი ყურძენი არ იკრიფებოდა, წლეულს 1.500 ტონაზე მეტი მოიკრიფება.

სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა რაიონში 20.310 ტონას ითვალისწინებს. გვინდა ჩავებათ რესპუბლიკაში 500.000 ტონა ყურძნისათვის გაშლილ ლაშქრობაში, მხარი დავუჭიროთ მეზობელი გურჯაანის რაიონის მშრომელთა პატრიოტულ მოწოდებას, ჩვენი მხრივ პირობა მივცეთ სამშობლოს, რომ წლეულს სახელმწიფო ღვინის მარნებში 23.000 ტონა ყურძენს მივიტანთ. ამას თითოეული კომუნისტისა და მშრომელის სახარძოლო ამოცანად გადავაქცევთ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მშრომელი მოსახლეობაც მხარს დაგვიჭერს იმაში, რომ სახელმწიფოს მიპყიდონ საკარმიდამოზე მოწეული ყურძნის 80-90 პროცენტი, თავიანთი ღირსეული წვლილი მიუძღვნან დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს.

მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს რთველი პირველ რიგში დაამთავრონ მეურნეობის ვენახებში, შემდეგ კი საკარმიდამო ზვრებში გადაინაცვლონ. ამით რთველს ორგანიზებული, კონვეიერული ხასიათი მიეცემა; ადგილი არ ექნება რაიმე გაუგებრობას; ტრანსპორტიც შეუფერხებლად იმუშავებს. ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა რაიონის მთელმა მოსახლეობამ.

რაიონის საზოგადოებრივ სექტორში რთველს დავიწყებთ 5 სექტემბერს და დავამთავრებთ 18-20 სექტემბრისათვის. ამის შემდეგ მოიკრიფება საკარმიდამო ზვრები.

რთველს ორგანიზებულად ჩატარებისათვის რაიონში გათვალისწინებულია ყველა დეტალი, მობილიზებულია მთელი ტექნიკური შესაძლებლობა. სახელმწიფო მარნებში ყურძნის მიტანის სქემეს რაიონში ყოველდღიურად 350 ავტომანქანა მოემსახურება, იმუშაებს 200-მდე ავტოძარა; საზოგადოებრივ მეურნეობათა ბრიგადებს აქვთ აკრეფილ საცლელი ტარა. ყველაფერი ისეა გაანგარიშებული, რომ მკრეფავი არ მოცდეს. **რთველში ყოველდღიურად 4.000 მკრეფავი იმუშავებს. ვენახს მოკრეფს ის, ვინც იგი მოიყვანა, ჩვენ უარი ვთქვით მოსწავლეთა და სტუდენტთა შრომაზე. ისინი წარმატებით შეუდგებიან 1 სექტემბერს სწავლას.**

რთველს ისე, როგორც არასოდეს, საზეიმო ელფერი ექნება, ვინაიდან ეს არის ჩვენი მევენახე მშრომელების გმირული შრომის დაგვირგვინების პერიოდი. რაიონის ისტორიაში წლეულს პირველად იქნება მიღებული ყველაზე დიდი მოსავალი — 23.000 ტონა.

რაიონში რთველის წარმატებით დამთავრებისათვის დაწესებულია რაიონული გარდამავალი წითელი დროშა, ვიმპელები და ფასიანი ჯილდოები.

ჩვენი რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი მზად არიან წარმატებით დაამთავრონ რთველი, ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

მ. მეზვრიშვილი,

საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს დღეები მოსკოვში. სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

გამოფენის სამუშაო რიტმი

მოსკოველები, დედაქალაქის სტუმრები დიდი ინტერესით ეცნობიან საქართველოს მშრომელთა მიღწევებს

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონები სამუშაოდ დღეს დილის 10 საათზე იწყებენ. ამ დროიდან გვიან საღამომდე არ ნელდება გამოფენის შრომითი რიტმი. ერთნი გასართობად, დროის გასატარებლად მოდიან, სხვანი — გარკვეული მიზნით, რათა გაეცნონ სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მიღწევებს. დამთვალიერებელთა ამ მეორე კატეგორიის განკუთვნებიან სპეციალისტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან. მათთვის საქართველოს წარმომადგენლები კითხულობენ ლექციებს ციკლს და აცნობენ რესპუბლიკის მოწინავე გამოცდილებას.

გამოფენის მთავარ მოედანს „ხალხთა მეგობრობის“ სახელი ჰქვია. მის ცენტრში ცამდე სცემს შადრევნები, რომლებსაც ამშვენებს ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილი ქალიშვილების ფიგურები — ეს მოძმე რესპუბლიკების სიმბოლოებია. შადრევნის პირდაპირ აღმართულია „ცენტრალური“ პავილიონის შენობა. მისი მოოქროვილი შპილი გამოფენის ყველა კუთხიდან მოჩანს. „ცენტრალურ“ პავილიონში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ წაიკითხა ლექცია — „საქართველო საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში“.

დიდი ინტერესი გამოიწვია პროექტის მთავარი ინჟინრის ა. კახნიაშვილის მოხსენებამ „ტრანსპროგრესის“ სატრანსპორტო სისტემის შესახებ, რომელიც ქართველმა კონსტრუქტორებმა შეიმუშავეს. მილსადენი კონტეინერული სატვირთო პნევმოტრანსპორტი ახალი სიტყვაა სატრანსპორტო ტექნიკაში. ეს პროგრესული ხერხი უდიდეს მოგებას მოუტანს სახალხო მეურნეობას.

„ფიზიკის“ პავილიონში აკადემიკოსმა ე. ხარაძემ ლექცია წაიკითხა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარების შესახებ. „მშენებლობის“ პავილიონში რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარემ პროფესორმა ი. ციციშვილმა ილაპარაკა ქართველი მშენებლებისა და არქიტექტურის მიღწევებზე. ლექციები წაიკითხეს აგრეთვე სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. მელქაძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნ. ჭითანავამ.

გამოფენის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი პავილიონია „მეგალეობა, მეევნახეობა და სუბტროპიკული კულტურები“. იგი ტერიტორიის სიღრმეშია და გარს აკრავს ეგრეთ წოდებული „მიჩურინის ბაღი“. აქ სიჩუმე და მყუდროებაა, როგორც სოფლად. ამ პავილიონში შარშან გაიხსნა საგამოფენო-საჯშნიკო დარბაზი. მისი პატრონები არიან ჩვენი ქვეყნის მეღვინეობის რესპუბლიკები. ამ დღეებში გამოფენის დამთვალიერებლნი ქართულ ღვინოებს ეცნობიან.

დაჯშნიკების სეანსი 45 წუთს გრძელდება. სამოცდაათი კაცი მაგიდებს მიუსხდება. თითოეულს დაუდგამენ ათ სასმისს — ხუთში მშრალი ღვინოა, ხუთში — მოტკბო, მაგრამ ღვინის საერთო რაოდენობა იმდენია, რომ ყმაწვილსაც კი არ დაათრობს, ყოველ სასმისში 25 გრამია. ქართული ღვინოების გემოსა და სურნელებას, ქართული მეღვინეობის ისტორიას, მსოფლიოში სახელგანთქმული კახური, ქართლური და იმერული ღვინოების დაყენების ტექნოლოგიას დამსწრეთ აცნობს სამრესტორნო მთავარი შამპანისტი გურამ ნანეიშვილი. მსურველი ბევრია, რადგან ვინ არ იცის, რომ ქართული ღვინოებმა საერთაშორისო კონკურსებზე 90 ოქროს, 108 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გ. ნანეიშვილს ყოველდღიურად სამი სეანსის ჩატარება უხდება — ეს საკმაოდ დიდი დატვირთვაა. მის საუბარს თან ახლავს მაგნიტოფონზე ჩაწერილი ქართული მელოდიები.

„ატომური ენერგიის“ პავილიონი „ცენტრალურის“ გვერდითაა. აქ მუდამ დიდძალი ხალხი იყრის თავს. პავილიონს ეკვრის სადემონსტრაციო დარბაზი. აქ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკის მოდელების სახლის მუშაკები არიან. „ჩვენ საჩვენებლად ჩამოვიტანეთ საღამოს, საშინაო, სპორტული და სამუშაო ტანსაცმლის 90 მოდელი, — გვეუბნება სახლის დირექტორი გიზო ბერაძე. — ჩვენ საფრანგეთში, თურქეთში, დასავლეთ გერმანიაში, იუგოსლავიაში ვყოფილვართ. ბულგარეთში მოდების მსოფლიო ფესტივალზე 16 ოქროს მედლიდან ოთხი ჩვენს მოდელებს ერგო. შემოქმედებითი ანგარიში, რომელსაც ახლა მოსკოვს ვაბარებთ, განსაკუთრებით ამაღელვებელია“.

ქალიშვილები და ჭაბუკები — მოდელების სახლის მანეკენები ზედიზედ გამოდიან სცენაზე და ტანსაცმლის ნიმუშებს უჩვენებენ. ძალიან საინტერესო ნამუშევრებია, — გამიზიარა თავისი შთაბეჭდილებანი კუბიშევის მოდელების სახლის დირექტორმა ა. კოროსტელევამ. — ქართველი კოლეგებისაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

ტანსაცმლის დემონსტრირების დროს ისმის მუსიკა, რომელსაც ასრულებს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის ორკესტრი ე. სეფაშვილის ხელმძღვანელობით.

ამ დღეებში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ყველგან გაიგონებთ ქართულ მელოდიას. მათ გადასცემს ადგილობრივი რადიოქსელი, შუადღისას კი, როცა გამოფენაზე პიკ-საათია, ცენტრალურ ესტრადაზე რესპუბლიკის თვითმოქმედი კოლექტივები გამოდიან.

დიდი ზეიმი ჰქონდა გუშინ ცეკავშირის მუშაკთა დელეგაციას — კოოპერაციული ვაჭრობის ათ საუკეთესო მუშაკს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს საპატიო სიგელები გადასცა „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნესტერენკომ.

დიდია გამოფენის ტერიტორია — ერთბაშად ვერ მოიკლო ყველა პავილიონს. ჩვეულებრივ აქ მთელი დღით მოდიან ხოლმე. და როცა შიმშილს იგრძნობენ, დამთვალიერებელნი კაფეებს, რესტორნებსა და სასადილოებს მიაშურებენ. რესტორან „ოქროს თავთავს“ კონკურენტი არა ჰყავს. ყველას სურს იგემოს განთქმული ქართული კერძები! ამ დღეებში „ოქროს თავთავში“ ათი საუკეთესო თბილისელი მზარეული მუშაობს. დარბაზში სტუმრებს ჩოხაში გამოწყობილი ოფიციანტები ემსახურებიან.

მზარეული გრიგოლ გაგნიძე 39 წლისაა, შრომის სტაჟი კი 22 წელი აქვს. 17 წლის ჭაბუკი იყო, როცა მამის კვალს გაჰყვა და მზარეულობას მოჰკიდა ხელი. მამამისი ვალერიან გაგნიძე, ასევე მზარეული, 1941 წელს მოხალისედ წავიდა ფრონტზე და გმირულად დაიღუპა სამშობლოსათვის ბრძოლაში. გრიგოლი ღირსეულად განაგრძობს ოჯახურ ესტაფეტას. მას თავისი ხელოვნება უჩვენებია ავსტრიაში, იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო უნგრეთში „უნგრული სამზარეულოს ოსტატი მზარეულის“ სპეციალი წოდება დამსახურა. ეს 1970 წელს მოხდა. მაშინ ბუდაპეშტში მასთან ერთად იყო მისივე კოლეგა გურამ გელოვნიშვილი. უნგრელმა მეგობრებმა ჩინებული მომსახურებისათვის მას „უნგრეთის რესპუბლიკის ვაჭრობის წარჩინებულის“ წოდება მიანიჭეს.

აი, ასეთ ოსტატებს ხვდათ წილად პატივი უმასპინძლონ გამოფენის სტუმრებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა საქართველოს სს რესპუბლიკის დღეებში. ამ დღეების პროგრამა უღირსად მრავალფეროვანია. წინ მოგველის ახალი შეხვედრები, საწარმოებში სტუმრობა, კონცერტები...

ვ. ძაღლია,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.



საკავშირო ტელევიზიის გაჯერებულებს

მსოფლიოს ამბები

ერთსულოვანი მხარდაჭერა

მსოფლიო შეშფოთებულია რასისტების გეგმების გამო

საკვლევის განცხადებაში გამოთქმული გაფრთხილება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ატომური იარაღის შექმნის სამუშაოების შესახებ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში. მსოფლიო საზოგადოებრიობა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის მოთხოვნას: არ დაუშვან პრეტორიის რასისტული რეჟიმის ხელში ატომური იარაღის ჩაგდება.

ჟაჟბა. ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეშფოთება გამოთქვა იმ ცნობების გამო, რომელთა თანახმად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ამირებს ატომური გამოცდის მოწყობას. „ატომური აფეთქება, — თქვა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, — მშვიდობიანი მიზნებითაც კი უნდა მივიჩნიოთ მეტად საშიშ აქტად, რომელსაც სერიოზული შედეგები მოჰყვება“.

ბონი. ამჟამად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმს „ყველაფერი“ აქვს იმისათვის, რომ აწარმოოს ატომური იარაღი, წერს დღეს გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამისათვის „ტექნიკური წინამძღვარება“ შექმნა უშინაოს ყოვლისა „დახმარებით, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას გაუწიეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა“.

თუ კეთილი იმედის კონცხზე უახლოეს დროში ააფეთქეს პირველი ატომური მუხტი, აღნიშნავს „რაინიშ პოსტი“, დასავლეთის სამრეწველო ქვეყნების, მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრალიც იქნება. დასავლეთის ქვეყნები იარაღისა და ატომური ტექნოლოგიის მიწოდებით ზურგს უმაგრებენ თეთრკანიან რასისტებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: ნვენი და სხვა ქვეყნების პირდაპირ შეკითხვაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ გვაუწყა, რომ არ აწარმოებს და არც აპირებს შეიმუშაოს რაიმე ატომური მოწყობილობა, არც მშვიდობიანი, და არც სამხედრო მიზნით, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არც ახლა და არც მომავალში არ მოეწყობა ატომური მოწყობილობის არავითარი გამოცდა.

ამერიკის შეერთებული შტატები, თქვა პრეზიდენტმა, „თქმა არ უნდა, კეთილად დიდი ყურადღებით გადაეკვლებს თვალს მოვლენათა მსვლელობას“. ჯ. კარტერმა განაცხადა აგრეთვე, რომ განახლებს „თავის მეცადინეობას, რათა დაიყოლიოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა სხვა ქვეყნებთან ერთად ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ“. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იტყობინება ამ პრეს-კონფერენციის შესახებ და აღნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას აქვს ურანის გამამდიდრებელი საკუთარი ქარხანა, რომელიც შეიძლება ატომური იარაღის შექმნისათვის გამოიყენოს, და უარს აცხადებს საერთაშორისო კონტროლს დაუქვემდებაროს ეს ქარხანა.

დეპეშა ჯ. კარტერს

ვაშინგტონი. (საკადისი). ცნობილი ამერიკელი ჟანნმდებლების ჯგუფმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მოუწოდებს უარი თქვას ნეიტრონული ბომბის წარმოების გეგმებზე. ნეიტრონული იარაღის წარმოების დაწყება, აღნიშნულია დეპეშაში, ამერიკის ახლანდელი სამხედრო სტრატეგიის ძალთა შეცვლა იქნება, რომელიც სახიფათოდ მიაახლოვებს მას ატომური იარაღის გამოყენებასთან.

დეპეშას ხელი მოაწერეს სენატორებმა გ. ჰიტფილდმა, ჯ. აბუერეზმა, დ. ბამპერსმა, ფ. ჰესკელმა, პ. ლაპმა, წარმომადგენელთა პალატის წევრებმა ჯ. კონიერსმა, რ. დელენსმა, ე. ჰოლცმენმა, რ. ოტინგერმა, ჯ. ვერტონმა და სხვებმა, სულ 31 კაცმა.

მეგობრული ვიზიტი

ფხენიანი, 24 აგვისტო. (საკადისი). დღეს აქ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის კიმ ირ სენის მოწვევით ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ი. ბროზ ტიტო.

დედაქალაქის აეროპორტში საპატიო სტუმარს შეხვდნენ კიმ ირ სენი და სხვა ოფიციალური პირები.

რასისტების მანევრები

ლუსაკა, 25 აგვისტო. (საკადისი). „ეს არჩევნები ანტიდემოკრატიულია და შეურაცხყოფს აფრიკელებს“, ასე უპასუხა ხოლსბერის ერთ-ერთი აფრიკული რაიონის ჰაიფილდის მუშამ ხემ მვენგვემ უცხოელ ჟურნალისტს, როცა მან ჰკითხა, თუ რა აზრისაა იგი 31 აგვისტოსათვის სმიტის მიერ დანიშნულ „საყოველთაო არჩევნებზე“. ზიმბაბველთა დიდი უმრავლესობა ეზიარება ამ აზრს.

სამხრეთ აფრიკის გაზეთი „რანდ დეილი მეილი“ აღნიშნავს, რომ ქვეყნის მოზრდილი მოსახლეობის 96 პროცენტზე მეტი მეთვალყურეთა როლში გამოვა. სმიტი კატეგორიულად უარყოფს პრინციპს „ერთი კაცი — ერთი ხმა“, რადგან მისი თქმით, ეს „დაღუპვის საფრთხეს შეუქმნის როდეზიის საზოგადოების ცივილიზებულ მოქალაქეებს“, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თეთრკანიანთა უმცირესობას. საგულდაგულოდ შემოწმების შემდეგ 6,5 მილიონი აფრიკელიდან რასისტებმა „საყოველთაო არჩევნებში“ მონაწილეობის ნება მისცეს დაახლოებით 7 ათას „კეთილსანმედოს“.

სავსებით ნათელია, რომ როდეზიის „არჩევნების“ მიზანია შეინარჩუნოს ქვეყანაში რასისტულ-კოლონიური წესები.

ამერიკის პრეზიდენტის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 24 აგვისტო. (საკადისი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა მორიგი პრეს-კონფერენცია გამართა.

მას ჰკითხეს: ამ უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე შეერთებულმა შტატებმა ორჯერ განაცხადა, რომ ისრაელი არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მხედველობაში ჰქონდა რა დასახლებანი მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, რომელიც ანექსიის გეგმად მიიჩნია. რას აპირებს ამერიკის შეერთებული შტატები, რათა დაიცვას ადამიანი უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე?

ჯ. კარტერმა განაცხადა: ამერიკის მთავრობა იდგა იმ პოზიციაზე, რომ ფიზიკურ ეორდანის დასავლეთი ნაპირის, ღაზის სექტორის ტერიტორია, გოლანის მაღლობების რაიონები, სინის რაიონი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ოკუპირებული ტერიტორიები, ისრაელის ტერიტორიის ნაწილს არ წარმოადგენენ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, თქვა მან, არაერთხელ გამოუთქვამს აზრი, რომ იმ რაიონებში ისრაელ მოქალაქეთა დასახლების შექმნა აღიარეს ჟენევის კონვენციას და რომ ეგი უკანონოა. პრეზიდენტმა აგრეთვე დასძინა, რომ ეს არასასურველ დაბრკოლებას ქმნის მშვიდობის გზაზე.

„ჩვენ, — განაგრძო პრეზიდენტმა, — არ ვაპირებთ გადავდეთ ისრაელის გაფრთხილების ფარგლებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ისრაელზე გავლენა მოგვიხდინა სხვა საშუალებებითაც, მაგრამ ამას არ ვაპირებთ“.

კარიკატურისტის კომენტარი

აფრიკის რქის რაიონში საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ხელი შეუშალონ ღრმა სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნებს და შეულღი ჩამოვადონ აფრიკის მომქმე ხალხებს შორის. (გაზეთებიდან).

ბოგენ ექსპანსიონიზმს

დიდი აღშფოთება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკადისი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდ აღშფოთებას იწვევს ტელ-ავივის ექსპანსიონისტური პოლიტიკა, რომელიც აჩქარებს სამხედრო დახასლებების შექმნას ოკუპირებულ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე და თავისი რეპრესიული კანონებით მოქმედებას ავრცელებს ამ რაიონსა და ღაზის სექტორზე. ისრაელის ეს აქციები აქ მიაჩნიათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშ დარღვევად და ოდინდელი არაბული მიწების ანექსიის კურსის ახალ დადასტურებად.

ისრაელის ამგვარი პოლიტიკა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების, ჟენევის კონვენციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის, უშიშროების საბჭოსა და სხვა ორგანოების მიერ ამ საკითხზე მიღებული რეზოლუციების ალმაშფოთებელი დარღვევაა“, ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არაბული ქვეყნების ჯგუფის თავმჯდომარის, ირაყის წარმომადგენლის ბასამ სალიჰ კუბას აქ გავრცელებულ განცხადებაში. ისრაელის აგრესიაო აქციები განცხადებაში შეფასებულია როგორც „ახალი საფრთხე მშვიდობისა და უშიშროების მიმართ“.

ქმნიან ახალ პარტიას

კაირო, 25 აგვისტო. (საკადისი). 1952 წლის რევოლუციის შემდეგ დათხოვნილი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის „ვაფდის“ ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ფუად სირაგ ედ-დინმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აპირებს ეგვიპტეში შექმნას ახალი პოლიტიკური პარტია. მან თქვა, რომ პარტიის დამფუძნებელ წევრთა შორის არის სახალხო კრების დეპუტატთა სიმრავლე. ესე იგი სულ 20 კაცი. მის შექმნასთან დაკავშირებული ყველა ფორმალობა რამდენიმე დღეში დამთავრდება.

სირაგ ედ-დინი აპირებს ხელისუფლებიდან მიიღოს ახალი პარტიის საქმიანობის ნებართვა. ამ პარტიას, საერთო აზრით, საფუძვლად დაედება ეგიპტე ლეგალური პრინციპები, რომლებიც „ვაფდს“ ჰქონდა.

„ვაფდის“ დამაარსებლის საად ზაგლულის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებაზე ფ. სირაგ ედ-დინმა ეაიღშჭრა 23 ივლისის რევოლუციის წინააღმდეგ და სიტყვა დაიცვა კორუმპირებული „ფაშების, ფეოდალებისა და სასახლეების სახოგადოებისა“, როგორც მეფის ეგვიპტეს უწოდებს ადგილობრივი პრესა.

ვრწყავთ დღითაც და ღამითაც!

ვაგს უჭირს, მივხედოთ!

მოურწყავი ვენახები და გულგრილი მეზვრეები

საბჭოთა-სამეურნეო კულტურეიის მაღალი და მყარი მოსავლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მცენარე ვეგეტაციურ პერიოდს ოპტიმალურ პირობებში გაატარებს. ოპტიმალურ პირობებს კი, როგორც ვიცით, მცენარეს ადამიანი უქმნის თავისი ენერგიული, აზრიანი შრომით. მცენარის ზრდა-განვითარება და უნგრესავლიანობა რეგულარულ რწყვაზე დიდად არის დამოკიდებული.

წლევანდელ რეაპუოლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში სარწყავში 35,1 ათასი ჰექტარი ვენახები და 48,3 ჰექტარი ხეხილის ბაღებია. კახეთის რაიონებში სარწყავში 19,2 ათასი ჰექტარი ვენახებია.

როგორც ვხედავთ, უმეტესი ნაწილი სარწყავი ვენახებისა კახეთის რაიონებშია.

თანახმად ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბოლო ცნობისა, კახეთის რაიონებში ვენახები პირველად 10,4 ათასი ჰექტარია, ანუ 54 პროცენტი მოირწყო. მეორედ კი უმნიშვნელო ფართობი — 260 ჰექტარი, ხოლო მესამე რწყვა აგვისტოს ნახევარში დაწყებულიც არ იყო. კახეთის ზონის რაიონებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მათ შორის ბაღ-ვენახებია, რწყვაში კარგი მაჩვენებელი აქვს ყვარლის რაიონს. სარწყავ მიწებზე 2.315 ჰექტარი ვენახები მთლიანად იყო მორწყული.

სამწუხაროდ, დანარჩენი რაიონები ბაღ-ვენახეიის რწყვაში ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩებიან. ამ მხრივ ჩამორჩენაა თელავის რაიონში. თელაველთა ვენახებში პირველი რწყვა არ ნატარებული 1.014 ჰექტარზე, ანუ 43 პროცენტზე, ხოლო მეორე რწყვა დაწყებულიც არ იყო. ამ რაიონში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ხეხილის ბაღის მორწყვაში. მოურწყავი დარჩა მხოლოდ 10 ჰექტარი ბაღი.

არასახარბიელო მდგომარეობაა აგრეთვე საგარეჯოს რაიონში. აქ 2,1 ათასი ჰექტარ ვენახებში პირველი რწყვა არ ნაუტარებიათ. ეს მთელი სარწყავის 36 პროცენტია.

ქართლის ზონის რაიონებიდან რწყვაში ჩამორჩა მცხეთის რაიონი, სადაც 15 აგვისტოსათვის 648 ჰექტარი ვენახები სულ არ მოურწყავთ. ეს მთელი სავარგულის 28 პროცენტია. მეორე რწყვა ჩატარებული არ იყო 1.910 ჰექტარზე, ანუ მთელი ფართობის 95 პროცენტზე, ხოლო მესამე რწყვა არ დაუწყიათ. 243 ჰექტარი ხეხილის ბაღები პირველად არ მორწყულა, მეორედ 1.410 ჰექტარი. ეს მთელი ფართობის 71 პროცენტია.

რატომ დარჩა მოურწყავი ბაღ-ვენახები?

მაის-ივნისში ბაღ-ვენახების მოურწყაობა ასე თუ ისე გამართლებული იყო, რადგან ამ პერიოდში ხშირად წვიმდა. რწყვის ნორმების მიხედვით 82-127 მილიმეტრი ნალექები თუ მოვიდა, ერთ, ერთნახევარ რწყვას უდრის. მაგრამ შემდგომში ივლის-აგვისტოში? ჰაერის ტემპერატურის მკვეთრად მატებასა და ნალექების სიმცირის გამო ბაღ-ვენახებში „უეცლებელი იყო რწყვა. მაგრამ ყველა როდი მოეკიდა ამ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით. ამ პერიოდში შესაძლებელი იყო მორწყულიყო არა მარტო ერთხელ, არამედ ორჯერაც, რადგან სარწყავი წყალი ამ პერიოდში საკმარისი იყო და ვენახებში რწყვას არ საჭიროებდნენ. მაგრამ რწყვაში ნამორჩენილი რაიონების სოფლის მეურნეობისა და წყალ

ცოდნისთვის გზა ხსნილია

ქართველი ჰაბუკი — უგამოცდოდ მოსკოვის უნივერსიტეტში

ჩოდესაც ქარი გაიღო და ამირანი საქართველოს სსრ განათლების მინისტრის კაბინეტში აღმოჩნდა, თავდაპირველად შეკრთა, დაიბნა, დამნაშავესავით თვალს ვერავის უსწორებდა. მაგრამ შეხვედრთა კეთილმა ღიმილმა და თბილმა ატმოსფერომ მალე გაამხნევა, დაამშვიდა. მინისტრმა გულითადად მოულოცა ამირანს წლეულს აპრილში ტალინში გამართულ ნორჩ მათემატიკოსთა მეთერთმეტე საკავშირო ოლიმპიადაზე გამარჯვება — მეორე ხარისხის დიპლომის მოპოვება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვა და ბელგრადში ახალი წარმატებების მიღწევა უსურვა. სიხარულით ფრთაშესხმულმა ჰაბუკმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველას და მოკრძალებით დატოვა მინისტრის კაბინეტი...

მერვე კლასამდე ამირანი თბილისის მე-60 საშუალო სკოლაში სწავლობდა. სხვა თანატოლებისაგან განსაკუთრებით არაფრით გამოირჩეოდა. მერვე კლასიდან თბილისის ვ. კომაროვის სახელობის რესპუბლიკურ ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში გაგზავნა სწავლა. აქედან დაიწყო ყველაფერი.

...1975 წლის აპრილში მერვეკლასელმა **ამირან უშანგის ძე ამბროლაძემ** პირველად მიიღო მონაწილეობა ნორჩ მათემატიკოსთა მეცხრამეტე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, სადაც გამარჯვებულის მესამე ხარისხის დიპლომი მოიპოვა, მომდევნო ოლიმპიადაზე მას მეორე ხარისხის დიპლომი ხვდა, ხოლო წლეულს მარტში გამართულ ოცდამეერთე ოლიმპიადაზე პირველი ხარისხის დიპლომი დაისაკუთრა.

ნორჩ მათემატიკოსთა საკავშირო ოლიმპიადებში ამირანმა პირველად შარშან სცადა ბედი. დღევანდელი წარმატებული გაკვეთილი — დუშანბეში გაკეთებულ მეათე საკავშირო ოლიმპიადაზე მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ამავე შედეგს ბიელორუსიის წლეულს ტალინში გამართულ ოლიმპიადაზეც. ესტონეთის დედაქალაქში მოპოვებული წარმატებისათვის ამირანი საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომელიც აგვისტოში ბელგრადში გაიმართა, ამ ოლიმპიადამდე კი ამირანს კიდევ ერთი ყურადღებიანი გამოცდა ელოდა.

საქმე ის არის, რომ ნაკრებისათვის შერჩეული თერთმეტი მოსწავლიდან გუნდში მხოლოდ რვა უნდა დარჩენილიყო. ღირსეულთა გამოსავლინებლად მოსკოვის ოლქში ერთი თვის მანძილზე დაბალებული სწავლისა და ვარჯიშის შემდეგ ორი შესარჩევი ტური გაიმართა. ამირანმა აქაც იყოჩაღა და რვა საუკეთესოს შორის მოხვდა. ასეთი წარმატებიანთვის გუნდის რვავე წევრს სსრ კავშირის ზემდგომი ორგანოების ნებართვით და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ვ. ელიუტინის მითითებით უფლება მიეცათ უგამოცდოდ ჩარიცხულიყვნენ ქვეყნის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. ამირანმა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გადაწყვეტა სწავლის გაგრძელება...

ბელგრადის საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომელშიც 22 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ამირანს დიდი წარმატება ხვდა — იგი მეორე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვეს, ხოლო ოლიმპიადის ბოლოს გამართულ სემინარუშზე მას მიერ წაკითხულმა მოხსენებამ **„მარტივ რიცხვთა განაწილების ზოგიერთი ამოცანის შესახებ"** კვლევის სიღრმით, საკითხისადმი ორიგინალური შიდგომით მონაწილეების და ლუნობილი მეცნიერების **საგანგებო** მოწონება დაიმსახურა.

...სკოლა-ინტერნატში ერთმანეთს მიჰყვებოდა სწავლისა და ძიების დაძაბული დღეები. საამაყოდ ყველა პირობა იყო შექმნილი. ამირანიც მუყაითად შრომობდა, სწავლობდა, მეცნიერული კვლევის თვისებებს ეძენდა, აქტიურად მონაწილეობდა მათემატიკის წრის მუშაობაში, რომელსაც გამოცდილი მათემატიკოსები, მეცნიერები ხელძღვანელობდნენ. თავის წარმატებებს განსაკუთრებით მაინც მათემატიკის მასწავლებელს არჩილ გოცირიძეს უმადლის.

ა. გოცირიძეს ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა. **ივი შუდან ხიახლისაკენ ისწრაფვის,** გვითხრა მან, არ უყვარს გატკეპნილი გზით სიარული, საკუთარი ხელწერის, ორიგინალური სტილის გამომუშავების ცდილობს. სწორედ ამის შედეგია, **რომ ნორჩ მათემატიკოსთა მეთერთმეტე საკავშირო ოლიმპიადაზე** ამირანი **ყველაზე ორიგინალური ამოხსნისათვის** დაჯილდოებული **სპეციალური პრიზით** დაჯილდოეს.

...რამდენიმე დღეც და ჩვენი ქვეყნის -კოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში პირველი ზარი დაირეკება. ამირან ამბროლაძე პირველად შეადებს უმაღლესი სასწავლებლის **„უდიტორიის** კარს. წინ ქვეყნის უპირველეს უმაღლეს სასწავლებელში დაძაბული სწავლისა და მეცნიერული კვლევა-ძიების ძნელი და სიტრეული გზაა.

ბედნიერი ყოფილიყოს ეს გზა შენთვის, ამირან!

რ. რუსია.

„ოქროს სალტე" — ი. დერიუგინას

ერეკლე ბიბილაშვილი

ერევანში ერევნული ფეხბურთის ჩემპიონატის ბრონზეულ მედალოსანი, ბაკურიანელი ალპინისტი, ალპინიზმის ოსტატი ალექსანდრე ბ. ბ. ბ. ... ...